ისევ ეს ბოლო წუთი...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 4 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “არარატი” (ერევანი) 1:1 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, კუტივაძე,კ ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, დათუნაშვილი (გიორგაძე).

“არარატი”: დემირჩიანი, სეროპიანი, აბრამიანი, ოვსეპიანი, იუმაკულოვი, კოვალენკო, მესროპიანი, ატამალიანი (ბონდარენკო), მელქუმოვი, ეგიაზარიანი, კაზარიანი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:2.

ჩვენი გუნდისთვის სამწუხარო მოვლენა _ ბურთის გაშვება (და ისიც გადამწყვეტი ბურთისა) ბოლო წუთებზე ტიპიურ მოვლენად იქცა. გაიხსენეთ მატჩები მოსკოვის “ტორპედოსთან”, დონეცკის “შახტიორთან”, დაახლოებით ასეთი ისტორია მინსკის “დინამოსთან”, როსტოვის არმიელებთან. და აი, ახლა _ “არარატთან”...

შემთხვევითობაა? დავუშვათ, ზოგჯერ შემთხვევითობის ელემენტიც ჩარეულია საქმეში, მაგრამ გუშინდელი დაკარგული ქულა ჩვენ წმინდა სპორტულ კანონზომიერებად მიგვაჩნია და ხელიდან გაშვებულ გამარჯვებას თავისი მიზეზები აქვს.

რახან ფეხბურთის მატჩი რეგლამენტირებულია 90 წუთით, სრული დატვირთვით თამაში და ბრძოლის წარმოება საჭიროა მთელი ამ დროის მანძილზე. ჩვენ კი მოწმენი ვართ იმისა, რომ თბილისელი ფეხბურთელები ნამდვილი თამაშით იბრძვიან მხოლოდ პირველ ტაიმში, შესვენების შემდეგ კი ცალკეული მოთამაშეები და მთელი რგოლებიც კი ერთობ მოკრძალებული, “საკურორტო” დატვირთვით მოქმედებენ, ინიციატივას აბარებენ მოწინააღმდეგეს, რომელსაც მანამდე სულის მოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდა. და აი, შედეგიც: როგორც ხედავთ, ამან სისტემის ხასიათი მიღო _ “დინამო” კარგავს ყველაფერს, რაც მანამდე ჰქონდა მოპოვებული.

კონკრეტულად, გუშინდელი მატჩის შესახებ. პირველი 45 წუთის მანძილზე ერევნელთა კართან შექმნილ მომენტებს თვლა არ ჰქონდა. მეტრეველი, ასათიანი, ნოდია, დათუნაშვილი, კუტივაძე თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ. მეტოქის კარში დარტყმა დარტყმას მოსდევდა და “მოსავალი” გამოიხატა ნოდიას მიერ გატანილ ერთადერთ გოლში.

მეორე ტაიმი სრულ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა. შუა მინდორზე ბრძოლა თითქოს შეწყვიტა სიჭინავამ. ჩამორჩა ტემპს მისი პარტნიორი ნახევარდაცვაში კუტივაძე. წინა ხაზზე საგრძნობლად უკლეს თამაშს მეტრეველმა, დათუნაშვილმა და არც სხვებში ჩანდა ადრინდელი ბრძოლისუნარიანობა. ამის შედეგად მდგომარეობის ბატონ-პატრონი ერევნელები შეიქნენ, რომლებსაც მატჩის დასასრულისთვის სულ ცოტა 4-5 მომენტი ჰქონდათ ბურთის გასატანად. ერთ-ერთი მათგანი 88-ე წუთზე გოლით დაამთავრა კოვალენკომ.

ეტყობა, ფიზიკური მომზადების საქმე თბილისის “დინამოში” ცუდადაა, რასაც სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს კოლექტივის ხელმძღვანელობა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 5 სექტემბერი, 1967 წ.